

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №23

21 ოქტომბერი 2016 წელი

ქ. ბათუმი
11⁰⁰ საათი.

- სხდომას თავმჯდომარეობდა** უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია.
- სხდომას ესწრებოდნენ:** გუგული დუაძე, სოფიო კახაძე, ზურაბ გოლიაძე, რამაზ გოლომანიძე, თორნიკე მჟავანაძე, მკვა ლომაძე, შორენა ჭაღალიძე, მამუკა ჯაში, ნუგზარ ბაჯელიძე, ირაკლი გვარამია, მამუკა კოპალეიშვილი და კახაბერ ჯაიანი.
- აგრეთვე ესწრებოდნენ:** უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის, საარჩევნო სუბიექტების და მასმედიის წარმომადგენლები.
- მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შეჯამება;
2. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის შესახებ;
3. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით მეორე ტურის გამართვისათვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და ვადების დადგენის შესახებ;
4. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმების გამოყენების შესახებ;
5. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტურისათვის ამომრჩევლის ბარათის სახის დადგენის შესახებ;

6. განკარგულება

საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესის დადგენის შესახებ;

7. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით მეორე ტურისათვის ბიულეტენების ტექსტების დადგენის შესახებ;

8. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 10;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შეჯამება;

2. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის შესახებ;

3. დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით მეორე ტურის გამართვისათვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და ვადების დადგენის შესახებ;

4. განკარგულება

ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმების გამოყენების შესახებ;

5. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტურისათვის ამომრჩევლის ბარათის სახის დადგენის შესახებ;

6. განკარგულება

საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესის დადგენის შესახებ;

7. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით მეორე ტურისათვის ბიულეტენების ტექსტების დადგენის შესახებ.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შეჯამება.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კომისიის მდივანს სოფიო კახაძეს სთხოვა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის კომისიის წევრებისა და დამსწრე საზოგადოებისთვის გაცნობა.

სხდომაზე გამოცხადდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრები - მამუკა კოპალეიშვილი და ირაკლი გვარამია.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივანმა, სოფიო კახაძემ კომისიის წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი.

(თან ერთვის).

- I. ამომრჩეველთა რაოდენობა: 308 506
- II. არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა: 163 419
- III. ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა: 5 410
- IV. საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობები:

№	პარტიის/ბლოკის დასახელება	მიღებული ხმების რაოდენობა	%	მიღებული მანდატების რაოდენობა
1	პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის	4 616	2,93	
3	ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა	9 268	5,89	1

5	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	46 628	29,62	5
6	უსუფაშვილი - რესპუბლიკელები	2 363	1,5	
7	თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის	348	0,22	
8	დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	8 980	5,7	1
10	შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია	3 834	2,44	
14	დავით თევზაძე - საქართველოს მშვიდობისათვის	293	0,19	
16	საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია	272	0,17	
19	თოფაძე-მრეწველები, ჩვენი სამშობლო	1 714	1,09	
23	ჩვენები - სახალხო პარტია	354	0,22	
26	ეროვნული ფორუმი	1 624	1,03	
27	ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატები	4 952	3,15	
32	მურმან დუმბაძე - მედეა ვასაძე - ემსახურე საქართველოს	1 133	0,72	
41	ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	71 039	45,13	8

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ და კომისიის მდივანმა, სოფიო კახაძემ ხელი მოაწერეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ აღნიშნა, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი არ არის არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმი, ვინაიდან მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების პირველ ტურში ვერ აირჩა უმაღლესი საბჭოს წევრები, საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, იმართება მაჟორიტარული სისტემით არჩევნების მეორე ტური, შესაბამისად მეორე ტურის დასრულების შემდეგ უსკო შეაჯამებს უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგებს.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კომისიის მდივანს სოფიო კახაძეს სთხოვა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების კომისიის წევრებისა და დამსწრე საზოგადოებისთვის გაცნობა.

უმადლესი საარჩევნო კომისიის მდივანმა, სოფიო კახაძემ საოლქო საარჩევნო კომისიებისგან მიღებული მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე კომისიის წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგები.

კომისიის მდივნის, სოფიო კახაძის განცხადებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატები:

№68 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი

- | | |
|---------------------|--|
| 5 ელგუჯა ბაგრატიონი | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 41 ვახტანგ წულაძე | ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო |

№69 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი

- | | |
|------------------|--|
| 5 ნინო ჯინჭარაძე | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 41 ილია ვერძაძე | ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო |

№70 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი

- | | |
|---------------------|--|
| 5 გია აბულაძე | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 41 ნუგზარ სურმანიძე | ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო |

№71 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი

- | | |
|--------------------|--|
| 5 მამული სურმანიძე | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 41 გიორგი რომანაძე | ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო |

№72 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი

- | | |
|-------------------|--|
| 5 ქენან კახიძე | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 41 მერაბ კარანაძე | ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო |

№73 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი

- | | |
|---------------------|--|
| 5 ნუგზარ ამადლობელი | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 41 ხვიჩა შარაშიძე | ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო |

2. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 12;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, 66-ე მუხლის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტური გაიმართოს 2016 წლის 30 ოქტომბერს №68, №69, №70, №71, №72 და №73 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

3. დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით მეორე ტურის გამართვისათვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და ვადების დადგენის შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით მეორე ტურის გამართვისათვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და ვადების დადგენის შესახებ“ დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით მეორე ტურის გამართვისათვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და ვადების დადგენის შესახებ“ დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 12;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი:)

დადგენილება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის

მე-5 პუნქტის და „საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების განმეორებითი კენჭისყრისა და მეორე ტურის გამართვისათვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და ვადების დადგენის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 17 ოქტომბრის N69/2016 დადგენილების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის 8 ოქტომბრის არჩევნებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურის ერთდროულად ჩატარების პროცედურები:

იმ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში სადაც ერთდროულად ტარდება საქართველოს პარლამენტის 8 ოქტომბრის არჩევნებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტური, გამოიყენება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ განსაზღვრული საერთო და უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონითა და „საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების განმეორებითი კენჭისყრისა და მეორე ტურის გამართვისათვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და ვადების დადგენის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 17 ოქტომბრის N69/2016 დადგენილებით დადგენილი წესები თუ ამ დადგენილებითა და კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 2. იმ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში სადაც იმართება მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტური:

1. ცესკოს მიერ არჩეულ დროებით და პარტიების მიერ დანიშნულ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს უფლებამოსილება უწყდებათ, უსკოს მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს არჩევნების მეორე ტურის შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების დღიდან.

2. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მისი უფლებამონაცვლის არჩევა/დანიშვნა შესაძლებელია კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებმა იხელმძღვანელონ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დამტკიცებული შესაბამისი კომისიების რეგლამენტით.

4. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებმა იხელმძღვანელონ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დამტკიცებული სახელმძღვანელო ინსტრუქციებითა და დამხმარე სახელმძღვანელოებით.

5. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ შეიძლება გამოყენებული იქნეს ის ბეჭდები, რომლითაც სარგებლობდნენ 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების პირველ ტურში.

6. მეორე ტურის დანიშვნის შემდეგ მის დასრულებამდე საოლქო საარჩევნო კომისიას უფლება აქვს, დაიქირაოს დამხმარე და ტექნიკური პერსონალი (გარდა ბუღალტრისა) უსკოს მიერ დადგენილი რაოდენობის ფარგლებში.

7. საოლქო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი რაოდენობის ფარგლებში დაიქირაოს ბუღალტერი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 57-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურების დასრულებამდე.

მუხლი 3. იმ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებები სადაც იმართება მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტური ამომრჩეველთა ერთიანი და სპეციალური სიების შედგენასთან დაკავშირებით:

1. მეორე ტურში მონაწილე ამომრჩეველები ხმას აძლევენ 2016 წლის 8 ოქტომბერს არსებული ამომრჩეველთა სიების მიხედვით, რომელშიც ცვლილებები შეიტანება „საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი

თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების განმეორებითი კენჭისყრისა და მეორე ტურის გამართვისათვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და ვადების დადგენის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 17 ოქტომბრის N69/2016 დადგენილების მოთხოვნების გათვალისწინებით.

2. მეორე ტურში ამომრჩეველთა ერთიანი, სპეციალური და გადასატანი საარჩევნო ყუთის სიებთან დაკავშირებით საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები ხელმძღვანელობენ „საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების განმეორებითი კენჭისყრისა და მეორე ტურის გამართვისათვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და ვადების დადგენის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 17 ოქტომბრის N69/2016 დადგენილების შესაბამისად.

მუხლი 4. იმ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში სადაც იმართება მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტური:

1. მეორე ტურისთვის საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებებს ახორციელებენ პირველი ტურისთვის შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების უფლებამოსილების ვადა იწყება მეორე ტურის დანიშვნის დღიდან, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმის შედგენის დღის ჩათვლით.

3. პარტიის მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, შესაბამის პარტიებს ეძლევათ უფლება დანიშნონ კომისიის წევრები შეტყობინებიდან 2 დღის ვადაში. საოლქო საარჩევნო კომისიამ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს შესაბამის პარტიას კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

4. თუ პარტიამ ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ ვადაში არ გამოიყენა ამავე პუნქტით

მინიჭებული უფლებამოსილება, საჭიროებისამებრ საოლქო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია მოახდინოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევა, ამავე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

5. საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩეული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის/წევრების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია 1 დღის ვადაში აცხადებს კონკურსს საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი წესითა და პირობებით. კონკურსის გამოცხადებიდან 1 დღის ვადაში იღებს საბუთებს და საკონკურსო საბუთების წარდგენის ვადის ამოწურვიდან მომდევნო დღეს ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს/წევრებს.

6. საოლქო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია, ახალი კონკურსის გამოცხადების გარეშე, პირველი ტურისათვის გამართულ კონკურსში მონაწილეებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აირჩიოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები;

7. აკრძალულია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა მეორე ტურის კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-4 დღისა.

მუხლი 5. საარჩევნო სუბიექტების, სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების, სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლების მიმართ გამოიყენება „საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების განმეორებითი კენჭისყრისა და მეორე ტურის გამართვისათვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და ვადების დადგენის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 17 ოქტომბრის N69/2016 დადგენილებითა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით განსაზღვრული წესები.

მუხლი 6. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 7. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება

ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმების გამოყენების შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმების გამოყენების შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმების გამოყენების შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 12;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტურში გამოიყენება ის საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები რაც დადგენილი იყო საქართველოს პარლამენტისა და უმაღლესი საბჭოს არჩევნების პირველ ტურში, თუ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

5. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტურისათვის ამომრჩევლის ბარათის სახის დადგენის შესახებ.

მოსმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტურისათვის ამომრჩევლის ბარათის სახის დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

სხდომაზე გამოცხადდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრი - კახაბერ ჯაიანი.

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტურისათვის ამომრჩევლის ბარათის სახის დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 13;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 34-ე მუხლის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტურისათვის ამომრჩევლის ბარათის სახე თანდართული ნიმუშის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.
(თან ერთად)

სხდომა დატოვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრმა - რამაზ გოლომანიძემ.

6. განკარგულება

საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესის დადგენის შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესის დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესის დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 11;

წინააღმდეგი 1;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 58-ე მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. კენჭისყრის შენობებში თვალსაჩინო ადგილას გამოსაკრავად, დადგენილ იქნას საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საორგანიზაციო სამსახურს ამ განკარგულების პირველი პუნქტით დადგენილი წესის იმ საარჩევნო კომისიისათვის გადაცემა, სადაც იმართება მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტური.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი)კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.
(თან ერთვის)

7. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით მეორე ტურისათვის ბიულეტენების ტექსტების დადგენის შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით მეორე ტურისათვის ბიულეტენების ტექსტების დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით მეორე ტურისათვის ბიულეტენების ტექსტების დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 11;

წინააღმდეგი 1;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით მეორე ტურისათვის მაჟორიტარული ბიულეტენების ტექსტები თანდართული ნიმუშების შესაბამისად, შემდეგი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქებისათვის:

- ა) №68 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი;
- ბ) №69 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი;
- გ) №70 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი;
- დ) №71 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი;
- ე) №72 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი;
- ვ) №73 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი)კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.
(თან ერთვის)

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალალონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე

კომისიის მდივანი

პარმენ ჯალაღონია

სოფიო კახაძე